Pflichtenkollision

Nach in **Deutschland** und ebenso in **Georgien** umstrittener Ansicht ist die Pflichtenkollision ein (ungeschriebener) Rechtfertigungsgrund, der im Rahmen der Unterlassungsdelikte entwickelt wurde (manche Stimmen nehmen allerdings – in **beiden Ländern** – lediglich einen Schuldausschließungsgrund an). Bestehen für einen Täter in einer konkreten Situation mehrere rechtlich begründete Handlungspflichten, kann er aber objektiv nur eine der Handlungen auf Kosten der anderen vornehmen, ist er – in **beiden Ländern** – im Hinblick auf das Unterlassen der anderen Handlung gerechtfertigt. Allerdings muss es sich dabei um gleichrangige Handlungspflichten handeln, wobei es umstritten wann diese Gleichrangigkeit vorliegt. Geklärt ist dabei (in **beiden Rechtssystemen**), dass Garantenpflichten höherwertiger sind als schlichte Handlungspflichten. Kollidieren mehrere Garantenpflichten, so ist nach **deutschem Recht** unklar, ob hier ein Stufenverhältnis (höherrangige/niederrangige Garantenpflicht) existiert. Nach **georgischem Recht** werden folgende Kriterien zur Bestimmung der Gleichwertigkeit herangezogen: Wert der gefährdeten Rechtsgüter, rechtliche Stellung des Normadressaten zum geschützten Objekt und Wahrscheinlichkeit des Schadenseintritts für das jeweilige Rechtsgut und seine Nähe zur Gefahr. Erfüllt der Täter die höherrangige Pflicht, wird ebenfalls eine rechtfertigende Pflichtenkollision angenommen, im **deutschen Recht** wird hier teilweise aber auch argumentiert, es entfalle bereits die Zumutbarkeit auf Tatbestandsebene. Erfüllt der Täter eine niederrangige Handlungspflicht auf Kosten einer höherrangigen Pflicht handelt er nach beiden Rechtsordnungen rechtswidrig. Nach **georgischem Recht** kommt hier aber ein Schuldausschuss in Frage. Subjektiv muss der Täter stets in Kenntnis der rechtfertigenden Situation handeln. (Bhe/Mtu/Gkh)

მოვალეობათა კოლიზია

გერმანიაში და ასევე **საქართველოში** საკამათო შეხედულების მიხედვით, მოვალეობათა კოლიზია არის (დაუწერელი) მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, რომელიც შემუშავებულია უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის ფარგლებში (ზოგიერთი შეხედულება, – **ორივე ქვეყანაში** – მას მხოლოდ ბრალის გამორიცხვის საფუძვლად მიიჩნევს). თუ პირს, კონკრეტულ სიტუაციაში, ერთზე მეტი მოქმედების სამართლებრივად დასაბუთებული მოვალეობა წარმოეშობა, თუმცა ობიექტურად აქვს შესაძლებლობა მხოლოდ ერთი მოქმედება განახორციელოს – **ორივე ქვეყანაში** – მეორე ქმედების მოვალეობისადმი გამოჩენილი უმოქმედობა გამართლებულია. ამავდროულად სახეზე უნდა იყოს თანაბარი ღირებულების მოქმედების მოვალეობა, თუმცა საკამათოა როდის მიიჩნევა მოვალეობები თანაბარი ღირებულების მქონედ. ერთი რამ ცხადია (**ორივე სამართლებრივ სისტემაში**), რომ გარანტის მოვალეობა უფრო მაღალი ღირებულებისაა ვიდრე მოქმედების უბრალო, სოლიდარული მოვალეობა. თუ გარანტის რამდენიმე ვალდებულება ერთმანეთს უპირისპირდება, **გერმანული სამართლით**

გაურკვეველია არსებობს თუ არა იერარქიული ურთიერთობა ასეთ დროს (უფრო მაღალი დონის/ქვედა დონის გარანტის გარანტის ვალდებულება). **ქართული სამართლის** მიხედვით თანაბარი ღირებულების დასადგენად გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: საფრთხის ქვეშ მყოფი სამართლებრივი სიკეთის ღირებულება; ნორმის ადრესატის სამართლებრივი მდგომარეობა დაცულ ობიექტთან მიმართებაში; შესაბამისი სამართლებრივი სიკეთისთვის ზიანის მიყენების ალბათობა და საფრთხესთან სიახლოვე. თუ ადრესატი შეასრულებს უფრო მაღალი ღირებულების მოვალეობას, მიიჩნევა, რომ იგი მოქმედებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი მოვალეობათა კოლიზიის საფუძველზე. **გერმანულ სამართალში** ნაწილობრივ წარმოდგენილი მოსაზრებით, ასეთ დროს გამოირიცხება ქმედების შემადგენლობა. იმ შემთხვევაში თუ პირი შეასრულებს უფრო ნაკლები ღირებულების მოქმედების მოვალეობას, მაღალი ღირებულების მოვალეობის ხარჯზე, ორივე სამართლებრივი წესრიგის ფარგლებში ის მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ. **ქართული სამართლის** მიხედვით, ასეთ შემთხვევაში აქტუალური ხდება ბრალის გამორიცხვის საკითხი. სუბიექტურად ინდივიდს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მოქმედებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ სიტუაციაში. (Bhe/Mtu/Gkh)